საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№313/4

2019 წელი, 5 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 124-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.არანაკლებ 200000 ამომრჩევლის ინიციატივით „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით საქართველოს მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფის (ვიქტორ ჯაფარიძე, ირაკლი (დაჩი) ბერაია, მიხეილ ყაველაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, გურამ მაჭარაშვილი, გოგა გულორდავა, ცოტნე ზურაბიანი, სავალან მირზოევი, რომან მუჩიაშვილი, გოგი მეშველიანი, მერაბ ქვარაია) განცხადება (N2-21506/19; 04.12.2019) გადაეცეს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

2. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 7 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — არჩილ თალაკვაძე